ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №22

ქალაქი ქუთაისი

27 დეკემბერი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
5. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
6. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
7. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
8. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
9. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
10. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
11. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 11, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 11 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა არ ესწრება.

სხდომა შეხვედრის ფორმატში გაგრძელდა.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
დავით ირემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

21-ე სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ქალაქ ქუთაისის მერის 2019 წლის ანგარიში - მომხსენებელი: გიორგი ჭიღვარია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;
4. მოქალაქეთა ინიციატივების კონკურსში გამარჯვებული პირებისთვის მადლობის სიგელების გადაცემა.
5. სხვადასხვა:
6. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ქალაქ ქუთაისის მერის 2019 წლის ანგარიში - მომხსენებელი: გიორგი ჭიღვარია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;

გიორგი ჭიღვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი)
2019 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა მიმართულებით, მრავალი პროექტი და პროგრამა განხორციელდა .
ინფრასტრუქტურული პროექტები:
უპრეცენდენტო იყო საგზაო სამუშაოების მოცულობა - სულ შესრულდა 63 საგზაო პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 16 მილიონ ლარამდეა.
საყრდენი კედლების შესაკეთებლად (სტიქიის პრევენცია, 37 პროექტი) დაიხარჯა 2 მილიონ ლარამდე.
საბავშვო ბაღების ფლიგელები- 2 პროექტი, ღირებულება 471 000 ლარამდე.
ი.ჭავჭავაძის გამზირის #11-სა და #13-ს შორის არსებული სკვერი - ღირებულება 217 000 ლარამდე.
ფასადები -ღირებულება 565 000 ლარამდე.
სანიაღვრე სისტემები - ღირებულება 3 მილიონ ლარამდე.
სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები - ღირებულება 2 მილიონ ლარამდე.
საექსპლოატაციო სამუშაოები - ღირებულება 4 მილიონ ლარამდე.

სოციალური მიმართულებით განხორციელებული პროგრამები:
გადაუდებელი რეაგირების პროგრამა- პროგრამის ბიუჯეტი 50 000 ლარი.

მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვნი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა - პროგრამის ბიუჯეტი 5 500 ლარი.
შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა- პროგრამის ბიუჯეტი 7 000 ლარი.
ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა- პროგრამის ბიუჯეტი 10 000 ლარი.
შინმოვლის პროგრამა- პროგრამის ბიუჯეტი 25 000 ლარი.
ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა- პროგრამის ბიუჯეტი 25 000 ლარი.
კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება - პროგრამის ბიუჯეტი 27 000 ლარი.
უფასო მგზავრობა -პროგრამის ბიუჯეტი 293 800 ლარი.
შშმ პირების დახმარება- პროგრამის ბიუჯეტი 35 000 ლარი.
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა- პროგრამის ბიუჯეტი 152 000 ლარი.
სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა- პროგრამის ბიუჯეტი 200 000 ლარი.
სოციალური ღონისძიებები- პროგრამის ბიუჯეტი 316 700 ლარი.
სარიტუალო დახმარება- პროგრამის ბიუჯეტი 30 000 ლარი.
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება -პროგრამის ბიუჯეტი 1 000 000 ლარი.
მარტოხელა მშობელთა დახმარების პრორგამა -პროგრამის ბიუჯეტი 10 000 ლარი.
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა- პროგრამის ბიუჯეტი 340 500 ლარი.
შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინასება/თანადაფინასება- პროგრამის ბიუჯეტი 25 000 ლარი.
საბინაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული პროგრამები:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ბეტონის საფარით კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა 498 000 ლარის ღირებულების 3 ტენდერი 33 ეზოს მოსაწყობად.
ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს გადაეცათ 200000 ლარის ღირებულების გადასახური მასალა.
მიმდინარეობს 47286 ლარის ღირებულების 15 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული საკანალიზაციო სისტემების აღდგენა.
წერეთლის, დეპოს, ბალანჩივაძის, გაპონოვის და ჯავახიშვილის ქუჩებზე არსებული კიბეების რეაბილიტაცია - ღირებულება 32194 ლარი.
31 მარტის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის, საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - ღირებულება 33528 ლარი.
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია- პროგრამის ბიუჯეტი 283405 ლარი.
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია - პროგრამის ბიუჯეტი 97 160 ლარი.
ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი პროექტების განხორციელება - ბიუჯეტი 57000 ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 24 საცხოვრებელი სახლის ავარიული სახურავების რეაბილიტაცია - ღირებულება 190 818 ლარი.
214 ძელსკამის შეძენა- დამონტაჟება საჯარო სივრცეებისთვის - ღირებულება 68950 ლარი.
გუგუნავს #12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის შეკეთება - ღირებულება 56 158 ლარი.
მოხსენების ირგვლივ პოზიცია დააფიქსირა ნ. ჯიქიამ, ხ. ვაშაყმაძემ, ო. კიკვიძემ. ასევე რეკომენდაცია მიეცა მერს სხვებთან ერთად გააგრძელოს ინსპექტირება მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტზე.

7. მოქალაქეთა ინიციატივების კონკურსში გამარჯვებული პირებისთვის მადლობის სიგელების გადაცემა.

ქუთაისის მერმა გიორგი ჭიღვარიამ და ვიცე-მერმა დავით ერემეიშვილმა მადლობის სიგელები გადასცეს კონკურსის „ბიუჯეტირება 2019“ გამარჯვებული პროექტების ავტორებს.

საბჭოს მორიგი 23-ე სხდომა გაიმართება 2020 წლის 31 იანვარს 14:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჯიქია ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე